



## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ო ქ მ ო №2

ქ. ბათუმი

2018 წლის 15 თებერვალი  
11<sup>00</sup> საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - სულიკო თებიძე

**ე ს ო რ ე ბ ო ღ ნ ე ნ :**

- |                      |  |
|----------------------|--|
| თამაზ სალუქვაძე      | - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე   |
| ლაშა სირაბიძე        | - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;  |
| გოჩა მგელაძე         | - საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე;                        |
| ირაკლი პატარიძე      | - საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| დიმიტრი ჭეიშვილი     | - საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;                  |
| ზურაბ ნაკაიძე        | - საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე;               |
| ომარ მახარაძე        | - საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;                    |
| ნატალია ზოიძე        | - საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე;            |
| ბესარიონ გოგოტიშვილი | - საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე;  |

ანზორ დევაძე	- საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე;
ნატალია ძიძიგური	- საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე;
ნერიმან ცინცაძე	- საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარის მოადგილე;
მირდატ ქამადაძე	- საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე;
ნოდარ დუმბაძე	საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე;
დავით მახარაძე	-საკრებულოს წევრი;
თამაზ დევაძე	საკრებულოს წევრი;
როინ ზოიძე	- საკრებულოს წევრი;
ელგუჯა ანდრიაძე	- საკრებულოს წევრი;
ლევან ანთაძე	-საკრებულოს წევრი;
რაულ თავართქილაძე	-საკრებულოს წევრი;
არჩილ მამულაძე	-საკრებულოს წევრი;
მუხამედ ართმელაძე	- საკრებულოს წევრი;
ირაკლი თოფურიძე	- საკრებულოს წევრი;
ირაკლი მიქელაძე	-საკრებულოს წევრი;

## **სხდომას ესწრებოდნენ:**

- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი - თ. პეტრიძე;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი - ა. ვანაძე;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი - ს. მიქელაძე;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის მოადგილე - მ. რუხაძე;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის უფროსი- ე. ლომაძე;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის უფროსის მოადგილე, უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - მ. მეტრეველი;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები: საკრებულოს აპარატის უფროსი-რაულ ბოლქვაძე; საკრებულოს იურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე; საქმისწარმოების განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე, ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე; მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე, ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ბადრი წულუკიძე.

პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

**სხდომის თავმჯდომარე ს. თებიძე სხდომის მონაწილეებს მიესალმა და საკრებულოს წევრებს გააცნო მორიგი სხდომის დღის წესრიგი:**

## **დღის წესრიგი:**

1. „ქალაქ ბათუმში ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩის დასასრულიდან აეროპორტის გზატკეცილამდე არსებული გზის ქუჩად გარდაქმნისა და მისთვის საქართველოს ეროვნული გმირის გიორგი ანწუხელიძის სახელის მინიჭების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი პატარიძე)

2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სკვერის სტატუსის მქონე რამოდენიმე მიწის ნაკვეთისათვის „ივანე ჯავახიშვილის სახელობის სკვერის“ სახელის მინიჭების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი პატარიძე)

3. ეგრეთ წოდებული „6 მაისის პარკისთვის „ბათუმის ცენტრალური პარკის“ სახელის მინიჭების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი პატარიძე)

4. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი - არჩილ ვანაძე)

5. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

6. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ბინების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

7. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

8. „ბათუმის ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის N71 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

9. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში უფლებამოსილი პირის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანის წესისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანის ტრანსპორტირებისა და შენახვის საფასურის დადგენის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2011 წლის 02 ნოემბრის №55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

10. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში უფლებამოსილი პირის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალების თვლებზე სპეციალური საშუალებებით ბლოკირების გაკეთების წესისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების თვლებიდან სპეციალური საშუალებებით ბლოკირების მოხსნის საფასურის დადგენის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 12 მარტის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

11. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილითა და 125<sup>3</sup> მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 19 მარტის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

12. „ქ. ბათუმის გარკვეული ტერიტორიებისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის უფროსის მოადგილე, უფროსის მ/შ - მირიან მეტრეველი)

13. „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 თებერვლის N4-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის უფროსის მოადგილე, უფროსის მ/შ - მირიან მეტრეველი)

14. „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის №50 ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის უფროსის მოადგილე (მთავარი არქიტექტორი), უფროსის მ/შ - მირიან მეტრეველი)

15. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების დადგენის თაობაზე“ შპს „გის და დზ საკონსულტაციო ცენტრი გეოგრაფიკი“-ს მიერ მომზადებული დოკუმენტაციის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ მოწონების (შეთანხმების) მიზნით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მოსამზადებლად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის უფროსის მოადგილე (მთავარი არქიტექტორი), უფროსის მ/შ - მირიან მეტრეველი)

16. „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიებისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N88 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის უფროსის მოადგილე, უფროსის მ/შ - მირიან მეტრეველი)

17. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე)

18. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივნისის N12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე)

19. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 სექტემბრის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე)

20. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, რომელიც არ არის საკრებულოს თანამდებობის პირი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 დეკემბრის N48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე)

21. „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის №50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის ხელმძღვანელი - ნათია აფხაზავა,  
თანამომხს: ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარე - ნინო ჩხაიძე,  
თანამომხს: თავისუფალ ჟურნალისტთა ორგანიზაციის თავმჯდომარე - ასლან ჭანიძე)

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას: ესწრებოდა - 24 საკრებულოს წევრი  
არ ესწრებოდა - 1(ი. თოფურიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24  
წინააღმდეგი - 0

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს საკრებულოს რეგლამენტის საფუძველზე განცხადებების გასაკეთებლად. მიმართვებისა და განცხადებებისათვის თითოეულ საკრებულოს წევრს აქვს ერთხელ, 3 წუთიანი გამოსვლის უფლება.

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ აღნიშნა, რომ დღეს ბათუმის საბავშვო ბაღებში ფრაქციამ „ერთიან ნაციონალურმა მოძრაობამ“ ჩაატარა აქცია საბავშვო ბაღების პედაგოგებისთვის თანამდებობითი სარგოს გაზრდის თაობაზე, ბოლო 6 წლის განმავლობაში ამ ხელისუფლებაში იზრდება ჩინოვნიკების ხელფასი, მაგრამ საბავშვო ბაღის თანამშრომელთა ხელფასი ერთი თეთრითაც არ გაზრდილა. მან საჯაროდ განაცხადა, რომ სხდომის დასრულებისთანავე ოფიციალურად ინიციატივით შემოვა საბავშვო ბაღის პედაგოგების ხელფასის გაზრდის თაობაზე, მინიმუმ 100 ლარით მაინც, რომელსაც ბიუჯეტიდან სჭირდება მილიონ 300 ათასი ლარი.

საკრებულოს წევრმა რ. თავართქილაძემ გამოხატა ინიციატივა სახანძრო სამსახურის აღჭურვასთან დაკავშირებით, კერძოდ უნიფორმის შეძენა, სახანძრო კიბის შეძენა და.ა.შ.

საკრებულოს წევრმა ნ. დუმბაძემ აღნიშნა საბავშვო ბაღებთან დაკავშირებით, რომ მოიტანა პროკლამაცია, გააკრა საპროტესტო სტიკერი, აჩვენა დამსწრე-საზოგადოებას საკრებულოს თავმჯდომარისა და საბავშვო ბაღის პედაგოგის ხელფასები 2013 და 2018 წლის. განცხადებაში წერია, რომ 2013 წლიდან დღემდე საკრებულოს თავმჯდომარის ხელფასი 2700 ლარიდან 4500 ლარამდე გაიზარდა, ბაღის აღმზრდელის ხელფასი კი, ისევ 330 ლარია.

საკრებულოს წევრმა ო. მახარაძემ რ. თავართქილაძეს უპასუხა, რომ კარგია ინიციატივა, მაგრამ ყველამ კარგად ვიცით სახანძრო-სამამშველო უსაფრთხოების საკითხები 2016 წლამდე იყო ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენცია და 2016 წლის მერე გახდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი ქვედანაყოფი, რომელიც სააგენტოს სახით ჩამოყალიბდა.

საკრებულოს წევრმა ა. მამულაძემ გააკეთა განცხადება ახლადშემოერთებულ ტერიტორიაზე, ანგისის დასახლებაში, პირველ შესახვევში დღემდე არ არის ნაგვის ურნები შეტანილი და საშინელ მდგომარეობაშია ქუჩა. აქედან გამომდინარე მოითხოვა მერიის დაინტერესება ქუჩის მდგომარეობის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ გააკეთა განცხადება ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ სტიკერის გაკვეთის თაობაზე და აღნიშნა, რომ მათ გამოხატეს, დააფიქსირეს, რაც სურდათ, ის თვლის, რომ ეს არ არის ტრიბუნა მომხსენებლებისათვის, ამიტომ დაავალა აპარატის უფროსს სტიკერის ჩამოხსნა.

## მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

1. „ქალაქ ბათუმში ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩის დასასრულიდან აეროპორტის გზატკეცილამდე არსებული გზის ქუჩად გარდაქმნისა და მისთვის საქართველოს ეროვნული გმირის გიორგი ანწუხელიძის სახელის მინიჭების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი პატარიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გიორგი ანწუხელიძე დაიბადა 1981 წლის 18 აგვისტოს, ახმეტის რაიონის სოფ.ქვემო ალვანში. 2003-2004 წლებში გაიარა სამხედრო სავალდებულო სამსახური შინაგანი ჯარების პირველ ოპერატიულ ბრიგადაში. 2004 წელს მონაწილეობდა ცხინვალის რეგიონში მიმდინარე შეიარაღებულ კონფლიქტში. 2005 წლის 23 აპრილიდან 2006 წლის პირველ აგვისტომდე მსახურობდა მეორე ქვეითი ბრიგადის 21-ე სამშვიდობო ბატალიონში. 2005 წლის 10 სექტემბრიდან 2006 წლის 26 აპრილამდე იმყოფებოდა სამშვიდობო მისიის შესარულებლად ერაყში. ერაყიდან დაბრუნებულს, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, სამხედრო სამსახურისთვის თავის დანებება მოუხდა. 2008 წლის 17 აპრილიდან შეიარაღებულ ძალებს დაუბრუნდა და მეოთხე ქვეითი ბრიგადის 41-ე ბატალიონის შემადგენლობაში ჩაირიცხა.

რუსეთ-საქართველოს ომის დროს, 2008 წლის 9 აგვისტოს, ერთ-ერთი შეტაკების შემდეგ, გიორგი ანწუხელიძე ტყვედ ჩაუვარდა მოწინააღმდეგეს, წამებისა და დაკითხვის შემდეგ კი იგი ცხინვალის მე-5 სკოლასთან ცემით მოკლეს. 2008 წლის ნოემბრამდე უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლებოდა, მაგრამ, მას შემდეგ რაც ცხინვალიდან ათი ქართველის ცხედარი გადმოასვენეს, გენეტიკური ექპერტიზით დადგინდა, რომ ერთ-ერთი მათგანი იყო გიორგი ანწუხელიძე. 2009 წლის იანვარში ინტერნეტით გავრცელდა ვიდეოები, სადაც მისი წამების კადრები იყო ასახული.

2009 წელს დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით. 2011 წელს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უწყებრივი მედლით „სამშობლოსათვის თავდადებული“. 2013 წლის 15 აპრილს, საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, მიენიჭა ეროვნული გმირის წოდება.

წინამდებარე პროექტის მიღების ძირითადი არსია ქ.ბათუმში, ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩის დასასრულიდან აეროპორტის გზატკეცილამდე არსებული გზის ქუჩად გარდაქმნა და ქუჩისათვის გიორგი ანწუხელიძის სახელის მინიჭება.



აზრი

გამოთქმეს:

საკრებულოს წევრმა ი. მიქელაძემ უღრმესი პატივისცემა გამოხატა ყველა იმ ადამიანი-სადმი, ვინც მიიღო მონაწილეობა ბათუმში გიორგი ანწუხელიძის ქუჩის დარქმევის თაობაზე, მან აღნიშნა, რომ ინიციატივა ეკუთვნოდა წინა მოწვევის საკრებულოს წევრს დიმიტრი დარჩიას, მან მადლობა გადაუხადა ამ დამსახურებისათვის. ჩვენი ქვეყნის ხვალისდელი დღე დგას იმაზე, რამდენად დავაფასებთ იმ ადამიანებს, ვინც სახელმწიფოს ინტერესისთვის, სახელმწიფოს ერთიანობისთვის საკუთარი სიცოცხლეც კი გასწირა.

საკრებულოს წევრი რ. თავართქილაძე მიესალმა ინიციატივას, ანწუხელიძე არის ეროვნული გმირი, რომელმაც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას თავი შესწირა. ასევე მან ინიციატივით მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს ბალზაკის, ჰიუგოს ან ნებისმიერი მოღვაწის სახელი დაერქვას ერთ-ერთ ქუჩას

საკრებულოს წევრი ლ. ანთაძე მიესალმა ინიციატივას და მხარს უჭერს წარმოდგენილ საკითხს. მადლობა გადაუხადა დ. დარჩიას ინიციატივისათვის.

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის სხდომაზე აღნიშნა, რომ ეს არის ერთადერთი და სწორი, ღირსეული გადაწყვეტილება სხვა გადაწყვეტილებათა შორის. მიესალმა წარმოდგენილ საკითხს და ინიციატორს.

საკრებულოს წევრმა ნ. ზოიძემ აღნიშნა, რომ 2014 წლიდან საკრებულო მსჯელობდა წარმოდგენილი საკითხის ირგვლივ, თუ რომელ ქუჩას დარქმეოდა ეროვნული გმირის სახელი, ეს არის ანწუხელიძის პატივისცემა და იმ ქუჩის მოსახლეობის პრობლემების მოგვარება. მადლობა გადაუხადა ინიციატორს და საკრებულოს.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას: ესწრებოდა 25 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 25  
წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :**

2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სკვერის სტატუსის მქონე რამოდენიმე მიწის ნაკვეთისათვის „ივანე ჯავახიშვილის სახელობის სკვერის“ სახელის მინიჭების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი პატარიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტისა და „გეოგრაფიული ობიექტების სახელდებისა და ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის-ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 23 თებერლის №11 დადგენილების შესაბამისად, ქ.ბათუმში, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ №05.24.08.015, №05.24.08.014 და №05.24.08.121 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ, ქ.ბათუმში, ი.ჯავახიშვილის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებისთვის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სკვერის სტატუსის მინიჭება. 2017 წლის 24 თებერვალს 11/146 წერილის საფუძველზე შემოვიდა აღნიშნული მოთხოვნა პეტიციის სახით ნათია აფხაზავას, ბეჟან დავითაძისა და თეა ტაკიძის მიერ.

წინამდებარე პროექტის მიღების ძირითადი არსია ქ.ბათუმში, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთისათვის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სკვერის სტატუსის მინიჭება.

**ა ზ რ ი**

**გ ა მ თ ქ ვ ე ს :**

საკრებულოს წევრმა ნ. ღუმბაძემ დასვა შეკითხვა მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერში მშენებლობის აშენების შესახებ, დღეს კი დარჩენილ სკვერს სახელს ვანიჭებთ. ფრაქცია „ქართული ოცნება“ ი. ჭეიშვილის თავმჯდომარეობის პერიოდში აცხადებდა, რომ მთლიანი სახლის ათვისება უნდა მოხდეს,

სკვერი, რომელზეც განთავსდა სახლი, აშენებულია. ფირმა ღებულობდა ვალდებულებას, რომ მთლიანად კვარტალის ათვისება მოხდებოდა და სკვერი გადაინაცვლებდა სხვაგან.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დასმულ კითხვაზე პასუხს ვერ გასცემს, მაგრამ დღეიდან ის არის ერთ-ერთი ინიციატორი, რომ სკვერს ვერავინ ვერასდროს ვერ შეეხება და წარმოდგენილი სკვერი თანამედროვე სტანდარტებით გაკეთდება.

საკრებულოს წევრმა ლ. სირაბიძემ აღნიშნა, რომ სკვერი ინვესტორს იმიტომ გადაეცა, რომ მუნიციპალიტეტს სანაცვლოდ აქვს 1800 კვ.მ ფართი, ჩვენი თანაქალაქელებისთვის.

საკრებულოს წევრი ზ. ნაკაიძე მიესალმა „ივანე ჯავახიშვილის სახელობის სკვერის“ სახელის მინიჭებას, მოსახლეობაც თანახმაა სკვერის განაშენიანებაზე.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას: ესწრებოდა 25 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 25  
წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :**

**3. ეგრეთ წოდებული „6 მაისის პარკისთვის „ბათუმის ცენტრალური პარკის“ სახელის მინიჭების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი პატარიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში მდებარე ე.წ. „6 მაისის პარკის“ სახელწოდება არ არის სამა-

რთლებრივი აქტით განსაზღვრული და შესაბამისად ამ სახელწოდებით არ არის რეგისტრირებული. ფაქტობრივად, არსებული გეოგრაფიული ობიექტი, რომელიც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტურისტული ობიექტია, არის სახელდების გარეშე.

საქართველოს ორგნული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-7 მუხლის შესაბამისად, საკრებულოს მიერ პროექტის მიღებით, განხორციელდება პარკის სახელდება და განისაზღვრება პარკის მისამართი.

წინამდებარე პროექტის მიღების ძირითადი არსია ქ.ბათუმში, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ე.წ. „6 მაისის პარკისთვის“ „ბათუმის ცენტრალური პარკის“ სახელის მინიჭება.

**ა ზ რ ი  
გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :**

საკრებულოს წევრმა რ. თავართქილაძემ აღნიშნა, რომ „6 მაისის პარკისთვის“ სახელი არ არის იურიდიული, მაგრამ დღეს რომ დარჩენილიყო ეს სახელი მიესალმებოდა, რადგან 6 მაისს მოხდა რევოლუცია, ა. აბაშიძის ფეოდალური მმართველობის გადასაყენებლად.

საკრებულოს წევრმა ნ. ზოიძემ აღნიშნა, რომ მოსახლეობამ არ გაითავისა წარმოდგენილი სახელი, რადგან შემოდიოდა განცხადებები, სადაც ეწერა 26 მაისის პარკის სახელი, მოსახლეობაში დაიწყო გამოკითხვები სახელის დარქმევასთან დაკავშირებით, დღეს კი წარმოდგენილია პარკისთვის „ცენტრალური პარკის“ სახელის მინიჭება.

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ უპასუხა, რომ წარმოდგენილი არგუმენტები მისთვის არაა დამაჯერებელი, რადგან 6 მაისი განახლებასთან, მშენებლობასთანაა დაკავშირებული. დღეს 6 მაისის პარკადაა მოსახლეობაში ცნობილი. ასევე შესთავაზა საკითხის გადადება მოსახლეობის გამოკითხვის მიზნით.

საკრებულოს წევრმა ი. მიქელაძემ აღნიშნა, რომ პოლიტიკურ, გლობალურ შეფასებებს აკეთებს ის პოლიტიკური ძალის წარმომადგენლები, რომლებიც ახდენენ უმარტივესი საკითხების გლობალურ პოლიტიზირებას.

საკრებულოს წევრმა დ. ჭეიშვილმა აღნი-

შნა, რომ მიესაღმება წარმოდგენილ საკითხებს. მოხდება ქუჩის კეთილმოწყობა და სკვერის რეაბილიტაცია, რაც შეეხება 6 მაისის პარკს, გიორგობის დღესასწაულია და ყველა ქართველისათვის ძალიან მნიშვნელოვანი დღეა. გაიხსენა 2007 წლის 8 ნოემბრის მოვლენები, უნივერსიტეტში სპეცნაზის შესვლის თაობაზე, მას, როგორც მეორე კურსის სტუდენტს, რამოდენიმე რეზინის ტყვია მოხვდა.

საკრებულოს წევრმა თ. სალუქვაძემ აღნიშნა, რომ პარკისთვის სახელის დარქმევასთან დაკავშირებით მოსახლეობა გამოკითხულია და ერთპიროვნულად არ ღებულობენ გადაწყვეტილებებს.

საკრებულოს წევრმა ბ. გოგოტიშვილმა აღნიშნა, რომ 6 მაისის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე ქ. ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტია, სტუდენტებს ბევრჯერ ჩაუტარებიათ სხვადასხვა სახის პროექტები და ფაქტობრივად არავინ არ იცის, რომ პარკს ე.წ. 6 მაისის სახელი ჰქვია.

საკრებულოს წევრმა ლ. ანთაძემ წამოაყენა წინადადება პარკისთვის ასლან აბაშიძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

საკრებულოს წევრმა ზ. ნაკაიძე მომხრეა პარკისთვის სახელის შეცვლის და ცენტრალური პარკის სახელის მინიჭებისა.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ ლ. ანთაძის წამოყენებული წინადადება, კერძოდ, ა. აბაშიძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ, დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას: ესწრებოდა 25 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 1 (ლ. ანთაძე)  
წინააღმდეგი - 24

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას: ესწრებოდა 25 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19  
წინააღმდეგი - 5 (ლ. ანთაძე, რ. ზოიძე, ნ. დუმბაძე, მ. ქამადაძე, რ. თავართქილაძე)

არ მიიღო მონაწილეობა - 1(ა. მამულაძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს :

მიღებული იქნა წარმოდგენილი  
განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

4. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებუ-ლოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის  
საფინანსო სამსახურის უფროსი - არჩილ ვანაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით იზრდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსულობები 1289,4 ათასი ლარით. მათ შორის: სპეციალური ტრანსფერი - 144.7 ათასი ლარით, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა "ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის“ პროექტის ფარგლებში შესყიდული საქონლისა და მომსახურების დღგ-ის 50% გადახდის მიზნით;

სპეციალური ტრანსფერი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან - 1,144.7 ათასი ლარით, რომელიც წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილ თანხას.

ბიუჯეტის გადასახდელებში ასახული იქნა ზემდგომი ბიუჯეტებიდან გამოყოფილი ტრანსფერების ფარგლებში განსახორციელებელი კაპიტალური პროექტები, ასევე საბიუჯეტო ნაშთის გამოყენების ხარჯზე გათვალისწინებული იქნა 2017 წლიდან გარდამავალი და ახალი ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დაფინანსება.

დანართები თან ერთვის.

ა ზ რ ი

გ ა მ თ ქ გ ე ს :

საკრებულოს წევრმა ნ. დუმბაძემ დასვა შეკითხვები, კერძოდ 2017 წლის ბოლოს ანგისის სტადიონის მიმდებარედ „დინამო ბათუმის“ ბაზისთვის გადაცემა იქნა მიღებული, სადაც გამოყოფილი 4 მილიონ 116 ათას 170 ლარი, მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდა, მაგრამ სამუშაოები არ არის დასრულებული და მიმდინარეობს დღესაც. აღნიშნული ტერიტორია საჯარო რეესტრის მონაცემებით დღეს არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მშვილდოსნობის ფედერაციის სახელზე, გადაცემული უზუფრუქტის წესით, რომელსაც ვადა უმთავრდება მიმდინარე წლის 17 თებერვალს. ასევე მან

დასვა კითხვა 31-ე საბავშვო ბაღის რეაბილიტაციისთვის ბიუჯეტში გათვალისწინებული 42 ათას 700 ლარი, სადაც გასული წლის გაზაფხულზე ჩამოიშალა ფასადი და საგარანტიო ვალდებულება არ იყო გასული.

ქ. ბათუმის ვიცე-მერმა თ. პეტრიძემ აღნიშნა, რომ 31-ე საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოები ჩატარებულია 2015 წელს, საგარანტიო ვადა ჰქონდა, მშენებელ კომპანიასთან რამდენჯერმე მიმართვა განხორციელდა, რიგი ხარვეზები გასწორდა, მაგრამ მშენებელი გარკვეულ ეტაპზე საერთოდ დაიკარგა, შესაბამისად განხორციელდა კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები, ვინაიდან არ შეასრულა ხარვეზების აღმოფხვრა საგარანტიო ვადებში. კომპანიას ჩამოეჭრა დაახლოებით 38 ათასი ლარი, რომლის აკუმულირება მოხდა ბიუჯეტში. სამართლებრივად ყველა პროცედურები დაცულია. ანგისის ბაზას რაც შეეხება გათვალისწინებულია 4 მილიონ 116 ათას 170 ლარი, სამუშაოს აწარმოებდა კომპანია მონოლითი 2005, ნებისმიერ მსურველს შეუძლია ნახოს. ყველა სამუშაო არის შესრულებული, დღეის მდგომარეობით ბათუმის დინამო არის განთავსებული და მოვლა პატრონობაც დავალებული აქვთ. მშვილდოსნობის ფედერაციაზე 67 კვ.მ გადაცემული.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას: ესწრებოდა 25 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 21  
წინააღმდეგი - 4 (ლ. ანთაძე, რ. ზოიძე, ნ. დუმბაძე, მ. ქამადაძე)

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ გამოაცხადა 1 საათი შესვენება.

სხდომა განახლდა 14<sup>00</sup> სთ.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :**

5. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის უფროსი - ევარსლან ლომაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ წერილით მომართა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას, რომელშიც აღნიშნულია, ქ. ბათუმი 2018 წლის სექტემბრის თვეში მასპინძლობს მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადას. შესაბამისად მიზანშეწონილია სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით სპორტული კომპლექსების სამშენებლო სამუშაოების შეზღუდულ ვადებში განხორციელება. ქ. ბათუმში დახურული სპორტული კომპლექსის -ყინულის არენისა და საცურაო აუზის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისა და მშენებლობის მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის ბრძანებით გამოცხადდა ინტერესთა გამოხატვა. ამასთან მშენებლობის პირველი ეტაპი მოიცავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად რეგისტრირებულ ქ. ბათუმში, ლადო ასათიანის ქუჩა №27-ში 7153 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქ. ბათუმში, ლ. ასათიანის ქ. №27-ში მდებარე 17410 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნაწილს და მასზე განლაგებულ მცირე ზომის სპორტული დარბაზის განთავსების არეალს. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემას წარმოდგენილი პროგრამის განხორციელების მიზნით.

**ა ზ რ ი**

**გ ა მ თ ქ გ ე ს :**

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ არაერთხელ აღნიშნა თვითმმართველობის ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ, როდესაც წინასაარჩევნოდ ქართული ოცნების სლოგანი იყო „ძლიერი თვითმმართველობა, ძლიერი საქართველოსთვის“. ძლიერი თვითმმართველობისთვის მუნიციპალიტეტის ვალდებულება არ უნდა გადაეცეს მთვარობას.

საკრებულოს წევრმა ნ. ზოიძემ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტი, მთავრობა ერთი



ავტონომიური რესპუბლიკაა, რომლებიც ერთ საერთო საქმეს აკეთებენ ქალაქისთვის და ხალხის კეთილდღეობისთვის. სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით მიზანშეწონილია სპორტული კომპლექსების სამშენებლო სამუშაოების შეზღუდულ ვადებში განხორციელება.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ინფრასტრუქტურული სამუშაოები, სადაც უნდა განხორციელდეს ახალი ყინულის სასახლის და საცურაო აუზის მშენებლობა, ეს ტერიტორია არ არის საკმარისი პროექტების განსახორციელებლად. აღნიშნული მიწის ნაკვეთი ადრე აჭარის მთავრობის საკუთრება იყო, შემდეგ მუნიციპალიტეტს მოთხოვნის საფუძველზე გადმოეცა. დღეს კი სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების მოსაწყობად საჭირო დარჩა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემა.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას: ესწრებოდა 24 საკრებულოს წევრი  
არ ესწრებოდა: 1(თ. დევაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 20  
წინააღმდეგი - 4(მ. ქამადაძე, ლ. ანთაძე, ნ. დუმბაძე,  
რ. ზოიძე)

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :**

6. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ბინების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის უფროსი - ევარსლან ლომაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ, რომელშიც აღნიშნულია, რომ „სახელმწიფოს/აჭარის ა.რ/ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არსაცხოვრებელი ფართების შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისიის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ეთხოვა, განახორციელოს სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრირებული, ქ. ბათუმი, ტბელ აზუსერიძის ქ. №38-ში მდებარე, შენობის მეორე სართულზე არსებული 119,00 კვ.მ ფართის ბინა. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს ზემოაღნიშნული ბინების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემას, შემდგომში იქ მცხოვრები ოჯახებისათვის საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას: ესწრებოდა 25 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 25  
წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :**

**7. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკრებულოს უფლებამოსილებებს მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის სფეროში განეკუთვნება მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცება.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხის დამტკიცებას (სულ 17 ობიექტი) და „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის, პრივატიზაციის გეგმის და სარგებლობის უფლებით განსაკარგი ობიექტების სარგებლობის საფა-

სურის დამტკიცების შესახებ” ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 23 ივნისის №36 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადებას.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას: ესწრებოდა 25 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 25  
წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :**

**8. „ბათუმის ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის N71 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ბათუმის ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 27 ნოემბრის №71 განკარგულების შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 08 ივლისის №499 ბრძანებით შექმნილ ბათუმის ბოტანიკურ ბაღში მცხოვრებ პირთა განსახლების საკითხის შემსწავლელი კომისიის მიერ განხორციელდა ბათუმის ბოტანიკურ ბაღში მცხოვრები 38 ოჯახის სანაცვლო საცხოვრებელი ბინებით დაკმაყოფილება.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე მცხოვრები გურამ მამულაძის საცხოვრებელი ბინით დაკმაყოფილებას და საკუთრებაში გადასაცემი ბინის სარემონტო თანხის 1კვ.მ 250 ლარის ოდენობით, სულ 31 250 ლარის გადაცემას.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას: ესწრებოდა 25 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 25  
წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს :

მიღებული იქნა წარმოდგენილი  
განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

9. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალ-  
დარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამა-  
რთალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში უფლება-  
მოსილი პირის მიერ ავტოსატრანსპორტო  
საშუალების სპე-ციალურ დაცულ სადგომზე  
გადაყვანის წესისა და ავტოსატრანსპორტო  
საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე  
გადაყვანის ტრანსპორტირებისა და შენა-ხვის  
საფასურის დადგენის შესახებ“ თვითმმართველი  
ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2011 წლის 02 ნოემ-  
ბრის №55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის  
შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და  
ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის უფროსი - ვეარსლან ლომაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს კანონმდებლობაში 2014 წელს  
განხორციელებული ცვლილებების შედეგად შეიცვალა ადგილობრივი თვითმ-  
მართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების სტრუქტურა  
და მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებები. ამასთანავე მიმდინარეობს ქ. ბათუმის  
მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის  
მართვის სააგენტოს“ ლიკვიდაცია. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოქმედ კანონმ-  
დებლობასთან და შეცვლილ გარემოებებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით  
მიზანშეწონილია შეტანილ იქნას სათანადო ცვლილებები თვითმმართველი ქალაქის  
- ბათუმის საკრებულოს 2011 წლის 02 ნოემბრის №55 დადგენილებაში.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას: ესწრებოდა 25 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 25

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს :

მიღებული იქნა წარმოდგენილი  
დადგენილების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

10. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამარ-  
თალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სა-  
მართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში უფლება-  
მოსილი პირის მიერ ავტოსატრანსპორტო  
საშუალების თვლებზე სპეციალური საშუალებებით  
ბლოკირების გაკეთების წესისა და  
ავტოსატრანსპორტო საშუალების თვლებიდან  
სპეციალური საშუალებებით ბლოკირე-ბის მოხსნის  
საფასურის დადგენის შესახებ“ თვითმ-მართველი

**ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 12 მარტის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომამე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს კანონმდებლობაში 2014 წელს განხორციელებული ცვლილებების შედეგად შეიცვალა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების სტრუქტურა და მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებები. ამასთანავე მიმდინარეობს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვის სააგენტოს“ ლიკვიდაცია. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოქმედ კანონმდებლობასთან და შეცვლილ გარემოებებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით მიზანშეწონილია შეტანილ იქნას სათანადო ცვლილებები თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 12 მარტის №12 დადგენილებაში.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას: ესწრებოდა 25 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 25  
წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :**

11. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილითა და 125<sup>3</sup> მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 19 მარტის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომამე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს კანონმდებლობაში 2014 წელს განხორციელებული ცვლილებების შედეგად შეიცვალა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების სტრუქტურა და მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებები. ამასთანავე მიმდინარეობს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის

მართვის სააგენტოს“ ლიკვიდაცია. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოქმედ კანონ-მდებლობასთან და შეცვლილ გარემოებებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით მიზანშეწონილია შეტანილ იქნას სათანადო ცვლილებები თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2015 წლის 19 მარტის №8 დადგენილებაში.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას: ესწრებოდა 25 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 25  
წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :**

**12. „ქ. ბათუმის გარკვეული ტერიტორიები-სათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის უფროსის მოადგილე, უფროსის მ/შ - მირიან მეტრეველი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ინფორმაცია დასაგეგმარებელი ტერიტორიის საზღვრების შესახებ - განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცება გათვალისწინებულია ქ. ბათუმში, მწვანე კონცხის ტერიტორიაზე (მიწის ნაკვეთების საკადასტრო კოდებზე: N05.35.25.033; 05.35.25.034; 05.34.25.038; 05.34.25.036; 05.34.25.697 და 05.34.25.039). განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამუშავების, ასევე წინასაპროექტო კვლევების ჩატარების ვადები - განხორციელდება ქ. ბათუმში, მწვანე კონცხის ტერიტორიაზე, (მიწის ნაკვეთების საკადასტრო კოდებზე: N05.35.25.033; 05.35.25.034; 05.34.25.038; 05.34.25.036; 05.34.25.697 და 05.34.25.039). განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ვადებში. მოცემული ტერიტორია განეკუთვნება საკურორტო სარეკრეაციო ზონას, სადაც დასაშვებია დასასვენებელი, სამკურნალო, სპორტული, და გასართობი დანიშნულების შენობა-ნაგებობების განთავსება, წარმოდგენილი დოკუმენტაციით აღნიშნული ტერიტორია დაყოფილია პირობითად 3 ზონად, სადაც განაშენიანებისთვის სხვადასხვა მიმართულებებია წარმოდგენილი, მათ შორის გათვალისწინებულია როგორც დასასვენებელი, ისე სამკურნალო და სპორტულ-გასართობი შენობების მშენებლობა.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას: ესწრებოდა 25 საკრებულოს წევრი  
კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 22

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა - 3(მ. ქამადაძე, რ. ზოიძე, ნ. დუმბაძე)

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი  
დადგენილების პროექტი.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :**

13. „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მიწათ-სარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 თებერვლის N4-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის უფროსის მოადგილე, უფროსის მ/შ - მირიან მეტრეველი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მომართა მოქალაქე ჰუმანგ ნიკმანეშმა და მოითხოვა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახალი საპროექტო ქუჩებისა და გზების დაგეგმარების მიზნით დამტკიცებული ძირითადი გზების რუკის ნაწილში ცვლილების შეტანა, აღნიშნულზე წერილობითი განმარტება წარმოადგინა ასევე შპს „აჭარსპეცპროექტმა“, რომლის თანახმად დაგეგმარების პროცესში მოქალაქე ჰუმანგ ნიკმანეშის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი მოხდა იმ ნაკვეთებს შორის, რომელზედაც გადის საპროექტო გზა, შესაბამისად ნაკვეთი რჩება გამოუსადეგარი. ამ ეტაპზე არის საშუალება გასწორდეს აღნიშნული ხარვეზი.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას: ესწრებოდა 25 საკრებულოს წევრი  
კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 25

წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი  
განკარგულების პროექტი.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :**

14. „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის №50 ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის

**საკრებულოს დადგენილების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის  
არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის  
უფროსის მოადგილე (მთავარი არქიტექტორი), უფროსის მ/შ  
- მირიან მეტრეველი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ **მიზეზი:** „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის №50 დადგენილებაში ცვლილების შეტანა.

**მიზანი:** წინამდებარე დადგენილების შესაბამისად საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა - 3 (სსზ-3) წარმოადგენს განაშენიანების მაღალი ინტენსივობის ზონას, სადაც წარმოდგენილი ცვლილებების თანახმად მიწის ნაკვეთზე განაშენიანების მაქსიმალური სიმაღლე უნდა განისაზღვროს 12 მეტრით; ამ ზონაში არსებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების მაქსიმალური სიმაღლის შემცირება 15 მეტრიდან 12 მეტრომდე ხელს შეუწყობს ძველი ბათუმის ტერიტორიის განაშენიანებას პროცესების უკეთესი მიმართულებით განვითარების უზრუნველყოფას.

„თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის №50 ცვლილების შეტანა.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას: ესწრებოდა 25 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 25  
წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :**

15. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების დადგენის თაობაზე“ შპს „გის და დზ საკონსულტაციო ცენტრი გეოგრაფიკი“-ს მიერ მომზადებული დოკუმენტაციის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ მოწონების (შეთანხმების) მიზნით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მოსამზადებლად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“



**ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
განკარგულების პროექტი.**

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის  
არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების  
სამსახურის უფროსის მოადგილე (მთავარი  
არქიტექტორი), უფროსის მ/შ - მირიან  
მეტრეველი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების დადგენის თაობაზე“ შპს „გის და დზ საკონსულტაციო ცენტრი გეოგრაფიკის“ მიერ მომზადებული დოკუმენტაციის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდების (შეთანხმების) მიზნით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ განკარგულების მიღების თაობაზე.

„კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების დადგენის თაობაზე“ შპს „გის და დზ საკონსულტაციო ცენტრი გეოგრაფიკის“ მიერ მომზადებული დოკუმენტაციის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდების (შეთანხმების) მიზნით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ განკარგულების მიღების თაობაზე განკარგულება ითვალისწინებს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის იმ ნაწილისათვის გარკვეული ზონების დადგენას, რომელიც წარმოდგენს ქალაქის ისტორიულ ნაწილს.

„კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების დადგენის თაობაზე“ განკარგულების მიღება.

**ა ზ რ ი**

**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :**

საკრებულოს წევრმა ლ. ანთაძემ წამოაყენა წინადადება, ადმინისტრაციული წარმოებისას კომისიის შემადგენლობაში უმცირესობის წევრების შეყვანის თაობაზე.

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ განაცხადა, რომ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ინიციატივა დღის წესრიგშიც არ შესულა, იმ მოტივით რომ საკრებულო ასეთ გადაწყვეტილებებს არ ღებულობდა. დღეს კი საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი გახდა.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თეზიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას: ესწრებოდა 25 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 25  
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს :

მიღებული იქნა წარმოდგენილი  
განკარგულების პროექტი.

მოისმინეს :

16. „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიებისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N88 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის უფროსის მოადგილე, უფროსის მ/შ - მირიან მეტრეველი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიებისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N88 განკარგულებაში და განკარგულების სათაურში, განკარგულების პირველ პუნქტში გასასწორებელია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ: „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიებისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ შეიცვალოს ჩანაწერთ: „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიებისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“. წინამდებარე განკარგულება წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი არ ექვემდებარება ცალკე გასაჩივრებას.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თეზიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას: ესწრებოდა 25 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 25  
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს :

მიღებული იქნა წარმოდგენილი  
განკარგულების პროექტი.

მოისმინეს :

17. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუ-სხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ

**ბათუმის მუნი-ციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის  
18 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის  
თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს დადგენი-ლების პროექტი.**

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
იურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2018 წლის 01 თებერვლის №05/9 ბრძანებით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა (შემდგომში -სამუშაო ჯგუფი) მასზე დაკისრებული მოვალეობის საფუძველზე შეისწავლა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის არსებული სტრუქტურა და თითოეული სტრუქტურული ერთეულისა და საჯარო მოსამსახურის ფუნქცია-მოვალეობები.

შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე ეგექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით სამუშაო ჯგუფს მიაჩნია, რომ:

1. უნდა მოხდეს საკრებულოს აპარატის რეორგანიზაცია და საკრებულოს აპარატის ნაწილობრივ ახალი სტრუქტურის ჩამოყალიბება, კერძოდ

ა) საკრებულოს აპარატის საერთაშორისო ურთიერთობისა და პროტოკოლის განყოფილებაში ამჟამად გათვალისწინებულია 3 შტატი, მათ შორის ერთი განყოფილების უფროსის, ერთი მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის და ერთი მე-3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის. ამასთან ფუნქცია-მოვალეობის ანალიზიდან გამომდინარე მე-3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ასრულებს დამხმარე (ტექნიკურ) საქმიანობას, შესაბამისად ის არ შეიძლება წარმოადგენდეს პროფესიულ საჯარო მოხელეს, რის გამოც უნდა მოხდეს ამ პოზიციის გარდაქმნა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირად და მასთან უნდა გაფორმდეს მუდმივი (განუსაზღვრელი ვადით დადებული) შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება, რომელმაც უნდა შეასრულოს საკრებულოს აპარატის საერთაშორისო ურთიერთობისა და პროტოკოლის დამხმარე სპეციალისტის (თარჯიმნის) ფუნქცია. რაც შეეხება დარჩენილი ორი შტატიდან გამომდინარე მისი არსებობა ცალკე სტრუქტურული ერთეულის (განყოფილების) სახით არ არის მართებული და ეგექტიანი იქნება აღნიშნული განყოფილების საერთოდ გაუქმება, ხოლო დასახელებული ორი შტატის პირდაპირ საკრებულოს აპარატში (განყოფილების გარეშე) გადატანა. შესაბამისად განყოფილების უფროსის შტატი უნდა გარდაიქმნას მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობად უშუალოდ საკრებულოს აპარატის დაქვემდებარებაში და მისი ფუნქცია განისაზღვროს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში, ხოლო მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის პოზიცია გადატანილ უნდა იქნეს ასევე აპარატის დაქვემდებარებაში განყოფილების გარეშე და მისი ფუნქცია განისაზღვროს პროტოკოლის სფეროში.

ბ) საკრებულოს აპარატის შესყიდვებისა და მატერიალური უზრუნველყოფის განყოფილებაში ამჟამად გათვალისწინებულია 4 შტატი, მათ შორის ერთი განყოფილების უფროსის, ერთი მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის შესყიდვების სფეროში და ორი მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის სამეურნეო მიმართულებით. ამასთან ფუნქცია-მოვალეობის ანალიზიდან გამომდინარე მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტები სამეურნეო მიმართულებით ასრულებენ დამხმარე (ტექნიკურ) საქმიანობას, შესაბამისად ისინი არ შეიძლება წარმოადგენდნენ პროფესიულ საჯარო მოხელეს, რის გამოც უნდა მოხდეს ამ პოზიციების გარდაქმნა

შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებად და მათთან უნდა გაფორმდეს მუდმივი (განუსაზრველი ვადით დადებული) შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება, რომლებმაც უნდა შეასრულონ სამეურნეო, მატერიალურ-ტექნიკურ საკითხებში დამხმარე სპეციალისტის ფუნქცია. სამეურნეო სპეციალისტების ხელშეკრულებაზე გადაყვანის შემდგომ აღნიშნულ განყოფილებას დარჩება მხოლოდ შესყიდვების ფუნქცია, ხოლო საკრებულოს აპარატში განხორციელებული შესყიდვების ისედაც მცირე მოცულობიდან გამომდინარე არ არის მართებული მისი ცალკე სტრუქტურული ერთეულის (განყოფილების) სახით დატოვება. მითუმეტეს მაშინ როდესაც ამჟამად შესყიდვების სფეროში ისედაც მხოლოდ ერთი სპეციალისტის შტატია გათვალისწინებული და ფუნქციურადაც (ფაქტობრივადაც) ისედაც ერთი სპეციალისტი მუშაობს შესყიდვების მიმართულებით. ამდენად მოცემულ რეალობაში სწორი და ეფექტური იქნება განყოფილების და შესაბამისად განყოფილების უფროსის (მენეჯერის) პოზიციის გაუქმება, ხოლო შესყიდვების სფეროში მოქმედი ერთი შტატის (პოზიციის) გადატანა უშუალოდ საკრებულოს აპარატის დაქვემდებარებაში (განყოფილების გარეშე).

გ) ამჟამად საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების განყოფილებაში გათვალისწინებულია ერთი შტატი (პოზიცია) საკადრო საკითხებში. ადამიანური რესურსების მართვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა საჯარო დაწესებულებაში, მითუმეტეს განხორციელებული, მიმდინარე და განსახორციელებელი საჯარო სამსახურის რეფორმის პირობებში. შესაბამისად უნდა მოხდეს ამ მიმართულების აქტუალიზაცია და მისი შინაარსის წარმოჩენა სტრუქტურული ერთეულის დასახელებაში. ამდენად მართებული იქნება საქმისწარმოების განყოფილებას ეწოდოს საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება, ხოლო კადრების სპეციალისტის ნაცვლად მისი ფუნქცია განისაზღვროს ადამიანური რესურსების მართვის სახელწოდებით

დ) სამუშაო ჯგუფის მიერ ასევე განხილულ და გაანალიზებულ იქნა საკრებულოს აპარატის სხვადასხვა სპეციალისტებისათვის მინიჭებული კატეგორიები და მიაჩნია, რომ ამ მიმართულებით კორექტირების განხორციელება (კატეგორიის დონის ამაღლება ან დადაბლება) მართებული იქნება შეფასების სისტემის საფუძველზე, კონკრეტული სპეციალისტისათვის წარმოებული შეფასების შედეგების ადეკვატურად.

**ა ზ რ ი**

**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :**

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ აღნიშნა, რომ რეორგანიზაციის საფუძველზე რეალურად სამსახურიდან თავისუფლდება ერთი თანამშრომელი საკრებულოს აპარატის შესყიდვებისა და მატერიალური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი მამუკა ქარცივაძე, რომელიც ხელშეკრულებითაც არ გადაგყავთ. მან საკრებულოს თავმჯდომარეს მიმართა, რომ თვლის თუ არა საკრებულოს უმცირესობის წარმომადგენელიც უნდა ყოფილიყო სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში, მეტი გამჭირვალობისთვის და ობიექტურობისთვის, რაზედაც

საკრებულოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საჯარო სამსახურის ბიუროსთან გაიარეს კონსულტაციები და სამართლებრივად, გამჭირვალედ იმუშავა სამუშაო ჯგუფმა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამუშაო ჯგუფის მოვალეობა იყო პროექტის წარმოდგენა, რაც შეეხება უმცირესობას, საბოლოო გადაწყვეტილების მიღება საკრებულოს პროგნოზიკა და საკრებულომ უნდა დაამტკიცოს.

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ მიიღეთ ცუდი გადაწყვეტილება, რეორგანიზაცია მოანდომეთ ერთი ადამიანის სამსახურიდან განთავისუფლებას, ეჭვს მიმდაფრებს, ის რომ 2017 წლის 10 ოქტომბერს სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა საჯარო განცხადება, სადაც გაკრიტიკებული ჰყავდა პარტია „ქართული ოცნება“. აქედან გამომდინარე პოლიტიკური გადაწყვეტილების საფუძველზე თავისუფლდება თანამშრომელი.

სხდომის თავმჯდომარემ უპასუხა, რომ პოლიტიკური ნიშნით განთავისუფლება 2012 წლის მერე არ ყოფილა.

საკრებულოს წევრმა ლ. ანთაძემ მიმართა სხდომის თავმჯდომარეს, რომ ჯელალ ქიქავას შვილი გაანთავისუფლეთ, დღეს კი მამუკა ქარცივაძე. საკრებულო კოლეგიალური ორგანოა და ერთად უნდა იქნეს მიღებული გადაწყვეტილება.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკრებულოს აპარატის შესყიდვებისა და მატერიალური უზრუნველყოფის განყოფილებაში ამჟამად გათვალისწინებულია 4 შტატი, მათ შორის ერთი განყოფილების უფროსის, ერთი მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის შესყიდვების სფეროში და ორი მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის სამეურნეო მიმართულებით. ამასთან ფუნქცია-მოვალეობის ანალიზიდან გამომდინარე მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტები სამეურნეო მიმართულებით ასრულებენ დამხმარე (ტექნიკურ) საქმიანობას, შესაბამისად ისინი არ შეიძლება წარმოადგენდნენ პროფესიულ საჯარო მოხელეს, რის გამოც უნდა მოხდეს ამ პოზიციების გარდაქმნა შრომითი

ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებად.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას: ესწრებოდა 23 საკრებულოს წევრი  
არ ესწრებოდა - 2 (ი. თოფურიძე, ნ. ძიმიგური)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15  
წინააღმდეგი - 6 (მ. ქამადაძე, ლ. ანთაძე, ნ. დუმბაძე, რ. ზოიძე,  
რ. თავართქილაძე, ა. მამულაძემ)  
არ მიიღო მონაწილეობა - 2 (გ. მგელაძე, მ. ართმელაძე)

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი  
დადგენილების პროექტი.

საკრებულოს წევრებმა, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა დატოვეს სხდომათა დარბაზი.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :**

18. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივნისის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივნისის №12 დადგენილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით (გამოქვეყნების წყარო და თარიღი: [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 30/06/2017 წ., სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.132.016316) დამტკიცებული დებულების:

ა) მე-3 მუხლის 1-ლი წინადადების „ვ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. აპარატის სტრუქტურული ერთეულებია:

ა) იურიდიული განყოფილება;

ბ) საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

გ) ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილება;

დ) მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება;“.

ე) მე-6 მუხლის 1-ლი წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება თავისი კომპეტენციის ფარგლებში:“.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას: ესწრებოდა 25 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24  
წინააღმდეგი - 1(რ. თავართქილაძე)

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

19. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 სექტემბრის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

**მუხლი 1.**

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 სექტემბრის №34 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), გამოქვეყნების თარიღი: 25/09/2014, სარეგისტრაციო კოდი: 010250040.35.132.016230) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის:

**ა) მე-7 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„7. სხდომათა დარბაზში გამომსვლელთათვის მოწყობილი ტრიბუნის მარცხნივ (დამკვირვებლის პოზიციიდან) განთავსებულ მაგიდასთან ადგილს იკავებს საკრებულოს აპარატის უფროსი, აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი, აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი და სხდომის ოქმის წარმოებაზე პასუხისმგებელი საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების თანამშრომელი.“.

**ბ) 44-ე მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„5. საკრებულოს წევრებს საკრებულოს მორიგი სხდომის წინა დღით ადრე მაინც ინდივიდუალურად უნდა ეცნობოთ სხდომის ჩატარების ადგილი, თარიღი და დაწყების დრო. საკრებულოს წევრებს მორიგი სხდომის ჩატარებამდე 2 დღით ადრე მაინც უნდა მიეწოდოთ დღის წესრიგის და შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტები. აღნიშნულს ორგანიზებას უწევს და მასზე პასუხისმგებელია საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.“.

**გ) 48-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3. საკრებულოს სხდომას როგორც წესი ესწრებიან: საკრებულოს წევრები, საკრებულოს აპარატის უფროსი, საკრებულოს იურიდიული განყოფილების უფროსი, აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი და ოქმის წარმოებაზე პასუხისმგებელი აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების თანამშრომელი. საკრებულოს სხდომას შეიძლება დაესწროს მერი, მერის მოადგილეები და მერიის სხვა საჯარო მოსამსახურეები, აგრეთვე საკრებულოს ღია სხდომებს დადგენილი წესით შეიძლება დაესწროს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები. საკრებულოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით საკრებულოს სხდომაზე შეიძლება მოწვეულ იქნეს სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებათა წარმომადგენლები, სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, ექსპერტები და სხვა პირები. საკრებულოს სხდომაზე შეიძლება მოწვეულ იქნეს ის პირი, რომელმაც უშუალოდ მოამზადა სხდომაზე განსახილველი საკითხის პროექტი.“.

**დ) 51-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3. საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს წევრთა დასწრების რეგისტრაციას ახორციელებს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება, შესაბამის რეესტრში საკრებულოს წევრთა მიერ ხელმოწერების სახით.“.

**ე) 61-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. სამართლებრივი აქტის ინიცირების უფლების მქონე სუბიექტის მიერ მომზადებული და საკრებულოს სხდომაზე განსახილველი პროექტი საკრებულოს თავმჯდომარეს როგორც წესი წარედგინება სხდომის ჩატარებამდე არაუგვიანეს 8 დღისა. სამართლებრივი აქტის პროექტის ინიცირება შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ წერილობითი ფორმით, ინიცირების უფლების მქონე სუბიექტის წერილით, რომელიც შედგენილი უნდა იყოს საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე და უნდა ჩაბარდეს საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებას (კანცელარიას). კომისიის, ბიუროს ან/და საკრებულოს სხდომაზე ზეპირი ფორმით დაყენებული წინადადება არ ჩაითვლება პროექტის ინიცირებად და მას არ ეძლევა შესაბამისი პროცედურული მსვლელობა.“.

**ვ) 81-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. საკრებულოს სხდომაზე მიღებული სამართლებრივი აქტის პროექტის საბოლოო რედაქტირებულ ვარიანტს საკრებულოს სხდომაზე მიღებული შენიშვნების გათვალისწინებით სხდომის შემდეგ დაუყოვნებლივ (არა უგვიანეს მეორე დღისა) ხელმოსაწერად ამზადებს საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება იურიდიულ განყოფილებასთან ერთად. მომზადებულ პროექტებს, მათი მომზადებისთანავე საკრებულოს თავმჯდომარეს ხელმოსაწერად წარუდგენს საკრებულოს აპარატის უფროსი.“.



საკრებულოს თავმჯდომარის მიერ ხელმოწერილ აქტს იმავე დღესვე დადგენილი წესით აფორმებს (ასვამს სარეგისტრაციო ნომერს და სხვა აუცილებელ რეკვიზიტებს) საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

2. ნორმატიული აქტი საკრებულოს მიერ მიღებიდან (ხელმოწერიდან) არა უგვიანეს მეორე დღისა საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მიერ ნორმატიული აქტების საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის მეშვეობით ეგზავნება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში შესატანად და გამოსაქვეყნებლად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.“.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას: ესწრებოდა 25 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 25  
წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :**

20. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, რომელიც არ არის საკრებულოს თანამდებობის პირი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 დეკემბრის N48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 დეკემბრის N48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების შემუშავება განპირობებულია „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებით, რომლის საფუძველზე საჯარო დაწესებულებებში და კონკრეტულად ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოშიც მოხდა თანამდებობრივი სარგოების, მათ შორის, საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს გაზრდა, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 156-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს იმ წევრისათვის, რომელიც არ არის მუნი-

ციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირი, ასანაზღაურებელი ხარჯების ყოველთვიური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს მაქსიმალური ოდენობის 15%-ს, შესაბამისად შესაძლებელია, საკრებულოს იმ წევრის, რომელიც არ არის საკრებულოს თანამდებობის პირი სამსახურეობრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება გაიზარდოს 600 ლარამდე, ნაცვლად მანამდე არსებული 400 ლარისა, არსებული ბიუჯეტის შესაძლებლობის ფარგლებში, რასაც ითვალისწინებს წარმოდგენილი პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თეზიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას: ესწრებოდა 25 საკრებულოს წევრი  
კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 25  
წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :**

21. „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის №50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: სამოქალაქოს საზოგადოების ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის ხელმძღვანელი - ნათია აფხაზავა,  
თანამომხს: ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარე - ნინო ჩხაიძე,  
თანამომხს: თავისუფალ ჟურნალისტთა ორგანიზაციის თავმჯდომარე - ასლან ჭანიძე)

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საკითხის მომხსენებლები და თანამომხსენებლები არ იმყოფებიან საკრებულოს სხდომათა დარბაზში, ამდენად საკითხის განხილვა გადაიდოს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე:  
თეზიძე

სულიკო

ოქმის სისწორეს  
ვადასტურებ:

რ. ბოლქვაძე — საკრებულოს აპარატის  
უფროსი

ვიზირებულია:

ს. შვენთიძე - საკრებულოს  
აპარატის იურიდიული  
განყოფილების  
უფროსი

მ. თურმანიძე - საკრებულოს  
აპარატის საქმისწარმო-  
ების განყოფილების  
უფროსი

ოქმი შეადგინა:

მ. წულუკიძე — საკრებულოს აპარატის  
საქმისწარმოების  
განყოფილების უფროსი  
სპეციალისტი